კპროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI
ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოსვლის 29-ე წელი

კვირა, 11 ივლისი, 1948 წ. № 137 (8181). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

გადაჭრით გავაძლიეროთ მუშაობის ტემპი, მოვიპოვოთ მეტი წარმატება — მოწოდება (1-ლი გვერდი).

ცნობა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის რწმუნებულისა საქართველოს სს რესპუბლიკაში საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1948 წლის მეორე კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ (1-ლი და მე-2 გვერდი).

დ. ზაჭარიევი — ამერიკის პარტიები და პრეზიდენტის არჩევნები (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება (მე-3 გვერდი).

მთიან რაჭაშიც დაიწყეს მკა (მე-3 გვერდი).

საქართველოს საქალაქო და რაიონული თეატრების რესპუბლიკური დათვალიერება (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დემებები (მე-4 გვერდი).

გაღაჭრით გავაძლიეროთ მუშაობის ტემპი, მოვიპოვოთ მეტი წარმატება

ომის შემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის ბრძოლაში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ახალ-ახალ გამარჯვებას აღწევენ. ამას მჭევრმეტყველურად ადასტურებს ახალი ხუთწლედის გაგვლილი ორნახევარი წლის მანძილზე მოპოვებული წარმატებანი. წლითიწლობით სწრაფი აღმავლობის გზით მიდის წინ რესპუბლიკის მრეწველობა, სოციალისტური სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობა. ჩვენს რესპუბლიკაში ისე ფართოდ არასოდეს არ ყოფილა გაჩაღებული კაპიტალური მშენებლობა, როგორც ომის შემდგომ ახალ სტალინურ ხუთწლედშია. ჩვენში შენდება მრეწველობის ისეთი გიგანტები, როგორიცაა რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნები, ხრამის, სოხუმისა და ჩიათხეკის ჰიდროელექტროსადგურები, ბრაგვა ახალი მაღტი ტყიბულში, ტყვარჩელსა და ახალციხეში, გორის საფეიქრო კომბინატი და თბილისის ელექტრომექანიკური ქარხანა, ქუთაისის სამოქალაქო მანქანათმშენებლობისა და თბილისის პლასტმასის ნაკეთობათა ქარხნები, რომლებიც ნაწილობრივ უკვე ამუშაებულია და პირველ პროდუქციას აძლევენ სახელმწიფოს. სწორი მოეს მომქმედი დახმარებული და მანქანათმშენებელი ქარხნების, საფეიქრო ფაბრიკების და მრავალ სხვა საწარმოთა გაფართოება. უკანასკნელ თვეებში ფართოდ გაიშალა მუშაობა სამეორის სარწყავი სისტემის პირველი რიგის სამუშაოების მიმდინარე ხუთწლედში დასამთავრებლად.

დღეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები კანონიერი სიამაყის გრძნობით გაეცნობიან საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის რწმუნებულის ცნობას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1948 წლის მეორე კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ.

საერთო პროდუქციის გამომუშავების მიმდინარე წლის მეორე კვარტალის გეგმა საქართველოს მრეწველობამ 103 პროცენტით შეასრულა და გასული წლის მეორე კვარტალთან შედარებით 8 პროცენტით გაადიდა პროდუქციის გამოშვება. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა გეგმა შეასრულეს 100,9 პროცენტით, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებმა — 105 პროცენტით.

თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა მეორე. წინა წლებთან შედარებით სფერმნობილად გაიზარდა ქვანახშირისა და მარგანეცის ამოღება, ნავთისა და ბარიტის მოპოვება, ელექტროენერგიის გამომუშავება, ლითონმჭრელი და საფეიქრო დანგების გამოშვება, ცემენტის წარმოება. თითქმის ყველა რესპუბლიკური მრეწველო სამინისტროს, გარდა ხორცისა და რძის პრომრეწველობის სამინისტროსი, გადაჭარბებით შეასრულა საერთო პროდუქციის გამომუშავების მეორე კვარტალის გეგმა.

აღსანიშნავია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა მეორე კვარტალის გეგმის გაცილებით უკეთ შესრულება მიმდინარე წლის პირველ კვარტალთან შედარებით. თუ 1948 წლის პირველ კვარტალში კაპიტალურ დაბანდებათა სახსრები ათვისებული იყო 82 პროცენტით, მეორე კვარტალში ათვისების მაჩვენებელმა 94 პროცენტს მიაღწია. მთელმა რიგმა საკავშირო საშნებელო ობიექტებმა, ავრეთვე რესპუბლიკური სამინისტროებმა და უწყებებმა საგრძნობი გადაჭარბებით ათვისეს მათთვის გამოყოფილი სახსრები.

დიდია საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მიღწევები. რესპუბლიკის კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშა-მოსამსახურეებმა და სპეციალისტებმა ენერგიის დაუზოგავად შრომობენ დიდი ტექნიკისათვის მიცემული პირობების გასანადგურებლად. გადაჭარბებით შესრულდა რესპუბლიკაში საგაზაფხულო მარცვლეული და ტექნიკური კულტურების თესვა, აგრონუსების ზუსტად დაცვით სწარმოებს ნათესების დამუშავება, გაცხოველებით მიმდინარეობს თავთავიანი კულტურების მოსაპალის აღება, სახელმწიფოსათვის პირველი განაღეული ხორბლეულის ჩაბარება, ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. სოფლის მეურნეობის მშრომელები სანიშნოდ უველან და ამუშავებენ ცეტრესტთა ნარგაობებს, ჩაისა და თამბაქოს პლანტაციებს, ჭარხლის ნათესებს, ვენახებს, ხეხილის ბაღებს, რომ უველა ამ კულტურიდან წელს მიიღონ უხვი მოსავალი, სასახელოდ გაანაღდონ მათ მიერ დიდი სტალინისათვის მიცემული პირობა.

ახალი ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წლის მეორე კვარტალში კიდევ ძალაუნებურად მუშაობას გაბაგრძობდა ამიერკავკასიის რკინიგზის მრავალრიცხოვანი კოლექტივი. სადღეღამისო დატვირთვის მეორე კვარტალს გეგმა რკინიგზის მეშაკებმა 110,8 პროცენტით შეასრულეს, ხოლო გადმოტვირთვისა—105,1 პროცენტით. დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული სახალხო მეურნეობისათვის ისეთი უმნიშვნელოვანესი ტვირთების გადაზიდვის გეგმები, როგორიცაა ქვანახშირი, მარგანეცი, ნავთის პროდუქტები. რკინიგზელთა საკავშირო დონის აღსანიშნავად რკინიგზელები კიდევ უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპს, ფართოდ ანადებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, რომ სამეურნეო წლის მეორე ნახევარში უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვონ.

2,9 პროცენტის დანაკლისით შესრულდა საქალაქო სამეურნეოებოს მეორე კვარტალის გეგმა. ვერც სახელ წწიფო ვაჭრობამ, ვერც სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაციამ ვერ შეძლეს სამრეწველო საქონლის გეგმის მთლიანად შესრულება. გამონაკლისს მხოლოდ საქართველოს საკომპზარებლო კოოპერაცია წარმოადგენს, რომელმაც საკომპლექტაციო გეგმა 5,8 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა.

ჩამორჩენა საქონლბრუნვის გეგმის შესრულებაში საქართო ორგანიზაციების ხელმძღვანელ შუმაკთა უბრალოსობის მოუქნელი მუშაობის და მრეწველობის ზოგიერთი დარგის მიერ დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების უნდა მიეწეროს. საგანო ორგანიზაციების მუშაკებმა ჯერ კიდევ ძლიანად ვერ გაერკვნენ მოსაბის ახლებურად, პარტიისა და მთავრობის 1947 წლის 14 დეკემბრის ისტორიული დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანების შესაბამისად, ვერ გამოიყენეს მათ განკარგულებაში არსებული ძლიერი რესურსები, ვერ გააჩაღეს საბჭოთა კუღტურული ვაჭრობა.

ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობის მიერ მეორე კვარტალში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებების მოუხედავად, მუშობის არსებული ტემპი, გამსაუთრებით მრეწველობასა და ახალ მშენებლობებზე, როდი უზრუნველყოფს ომის შემდგომი ხუთწლედის დასმულ წლის გეგმის 7 ნოემბრისთვის შესრულებას. სამეურნეო წლის პირველი ნახევარი დამთავრდა. მრეწველობის მიერ ეკმსი თვის განმავლობაში 5 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება არ ყოფილა. ივივე თქმის კაპიტალური მშენებლობის მიმდინარეობის შესახებაც. აქ ნახევარი წლის დავალება საგრძნობი დანაკლისით არის შესრულებული. ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უკანასკნელ თვეებში ჩამორჩა მრეწველობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორიცაა ტყიბულ-ქვანახშირისა და ჭიათურის მარგანეცის ტრესტები, ტყავფეხსაცმლის საწარმოები და მრეწველობის ზოგიერთი სხვა დარგი.

თბილისის 12 მოწინავე საწარმოს მიმართვის პასუხად რესპუბლიკის მრეწველობის საწარმოთა დიდმა უმრავლესობამ წლიური გეგმის დიდი ოქტომბრის 31-ე წლისთავისათვის შესრულება აღიარა. ამ მიზნით ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება სოციალისტური ქალაქების ფაბრიკა-ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, ტრანსპორტსა და ახალ მშენებლობებზე, წინამორტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება ასეულ ათასობით მშრომელი. სამეურნეო და პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა უზარისაგ უხელმძღვანელონ მშრომელთა ამ პატრიოტულ თაოსნობას.

უფრო მაღლა აგვწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა, ახალ-ახალი გამარჯვებისა მოვიპოვოთ სამეურნეო წლის მეორე ნახევარში. ომის შემდგომი სტალინური ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა შეეასრულოთ 7 ნოემბრისათვის!

საბჭოთა კავშირში

კუზბასის კემეროვოს საკოქს-ქიმიურ ქარხანაში ამუშავდა მესამე ახალი ბატარეა, რომელიც აღჭურვილია ტყვიის უკანასკნელი მილწებით. სურათზე კოქსის მიღება ახალი ბატარეიდან.

ფოტო ვ. ელლეკანინისა (საგანძის ფოტოქრონიკა).

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოცემა ღიმვეყნ ენაზე

ვილნიუსი, 9 ივლისი. (საკვლისი). გამოვიდა „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" მესამე გამოცემა ლიტვურ ენაზე. წიგნის ტირაჟი 20 ათასი ცალია.

ს. მ. კიროვის ძეგლი

რსფსრ სახალხო მხატვრამა, სტალინური პრემიის ლაურეატმა მ. მანიზერმა დაამთავრა ს. მ. კიროვის ქანდაკების ძეგლისათვის, რომელიც სვირის ჰიდროელექტროსადგურზე უნდა დადგას.

წინასწარი ძეგლი გურმანელებმა დაანგრიეს.

ს. მ. კიროვი მთელი ტანით არის გამოყვანილი. ძეგლის სიმაღლე 8 მეტრია. გრანიტის პოსტამენტზე შემოვლებული აქვს ბარელიეფი. ამჟამად ქარხანა „ხორციმრეწველტექრაზმი" მიმდინარეობს ბრინჯაოს ფიგურის ჩამოსხმა. (საკვლისი).

დამთავრდა სასწავლო წელი დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებში

დამთავრდა სასწავლო წელი ჩვენი ქვეყნის დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებში. 18 ათასამდე სტუდენტმა ძირითადი საგნებისაგან მოუწყვეტლივ მიიღო ინფორმაციის, ეკონომიკის, აგრონომის, პედაგოგის დიპლომებიც.

ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს 16 დაუსწრებელი უმაღლესი სასწავლებელი და სტაციონარული უმაღლესი სასწავლებლების 400-მდე დაუსწრებელი განყოფილება, სადაც სწავლობს 257 ათასი სტუდენტი. ახალ სასწავლო წელს მიღებულ იქნება 106 ათასი კაცი, რაც ბევრად აღემატება განათლების დაუსწრებელი სისტემის არსებობის მანძილზე რომელიმე სხვა წელს მიღებულ შეფსებას (საკვლისი).

ფაქტოვდება მოსავლის აღების ფრონტი

ვლადიმირი, 9 ივლისი. (საკვლისი). მეტწილ რაიონებში სამშობდომო ქვეყნ სიმწიფეში შეკვდა. მთელ რიგ რაიონებში შერჩეული მკას შეუდგნენ. დაიწყო სახელმწიფო საწყობებში ახალი მოსავლის პურის მიღება.

* * *

სმოლენსკი, 9 ივლისი. (საკვლისი). უკანასკნელ ხანს მოსული დიდი წვიმების შედეგად მზიანი ამინდი დადგა. სამხრეთ რაიონებში მაღლობ ადგილებზე სწრაფად მწიფდება შემოდგომის ქვავი. პოჩინოკისა და სხვა რაიონების ზოგიერთი არტელი მკას შეუდგა.

* * *

იაროსლავლი, 9 ივლისი. (საკვლისი). საოლშეურნეო მინდვრებზე სწრაფად მწიფდება უხვი მოსავალი. სამხრეთ რაიონებში რიაზანცევოსა და პეტროვსკოეს რაიონებში დაიწყო პურის აღება. კოლმეურნეებმა ხელით მოკვეთ პირველი რამდენიმე ათეული ჰექტარი ქვავი.

* * *

კალინინი, 9 ივლისი. (საკვლისი). უკანასკნელ ხანს დამდგარმა თბილმა ამინდმა პურის მოწიფება დააჩქარა. ოლქში ქვავის მოსაკლის აღება პირველმა დაიწყო გორიცის რაიონის „ოლშეურნეობა „კრასნი ბორეცმა".

ცნობა

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის რწმუნებულისა საქართველოს სს რესპუბლიკაში

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1948 წლის მეორე კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ

I

საქართველოს სს რესპუბლიკაში მრეწველობის საერთო პროდუქციის 1948 წლის მეორე კვარტალის გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით. 1947 წლის მეორე კვარტალთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზარდა 8 პროცენტით.

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში მეორე კვარტალის გეგმა შესრულებულია 100,9 პროცენტით, ხოლო საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში — 105 პროცენტით.

1947 წლის მეორე კვარტალთან შედარებით საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა საერთო პროდუქცია გაიზარდა 10 პროცენტით, ხოლო საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა — 7 პროცენტით.

ცალკეული სამინისტროებისა და საწარმოების მიხედვით 1948 წლის მეორე კვარტალის გეგმა შესრულებულია შემდეგნაირად:

საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობა:

	1948 წლის II კვარტლის გეგმის პროცენტებში	1948 წლის II კვარტლის გეგმა 1947 წლის II კვარტლის პროცენტებში
საქართველოს ქვანახშირის კომბინატი.	101	134
ჭიათურის მარგანეცის ტრესტი	99	113
საქნავთის ტრესტი	88	96
საქენერგო	108	111
ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა	97	96
სპილენძაგალინვი ქარხანა	133	134
ლატბაონის ქარხანა	113	120
კირთვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა	100,1	126
სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა	106	116
ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა	109	125
ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა	90	119
ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხანა	110	172
ქარხანა „ცენტროლიტი"	107	110
ქარხანა „დაზგა"	108	128
ყასპის ცემენტის ქარხანა	110	140
შიფრის ქარხანა	101	102
ენგურის ქიმიალის კომბინატი	100,4	113
ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა	77	115
ტრიკოტაჟის კომბინატი	118	156
ფაბრიკა „საქტრიკოტაჟი"	100,5	107
მარგანოსის ქარხანა	99,8	149
გორის საკონსერვო ქარხანა	189	73
ქუთაისის საკონსერვო ქარხანა	35	24
შამპანური ღვინოების კომბინატი	153	81
ფარმაქიმქარხანა	99	148
კოფეინის ქარხანა	145	200

საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობა

საგანძოვრო მრეწველობის სამინისტრო	101	93
მათ შორის:		
ტრესტი „საქართველოს ჩაი"	99	100,7
სამტრესტი	104	100,9
საქთამბაქო	97	68
საქართველოს ლეგ-ლიმნათის ტრესტი	102	99
საქართველოს მინერალური წყლები	138	182
კვების მრეწველობის სამინისტრო	117	149
მათ შორის:		
საქსპურტრესტი	109	161
გლავკონდიტერია	116	121
სასნის ქარხანა	96	127
ზეთსახდელი ქარხანა	295	264
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	91	92
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	102	100,9
მათ შორის:		
თბილისის ტყავეულის ქარხანა № 1	65	51
თბილისის ტყავეულის ქარხანა № 2	100	95
ბათუმის ტყავეულის ქარხანა № 3	99	88
თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა № 1	86	119
თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა № 2	84	91
ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკა № 4	98	80
სამოელეო ფეხსაცმლის ფაბრიკა	116	138
ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატი	100,8	87
სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატი	95	97
თბილისის სამკერვალო ფაბრიკა № 1	107	100,9
თბილისის სამკერვალო ფაბრიკა № 2	103	91
ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკა № 4	116	112
ზუთუმის სამკერვალო ფაბრიკა № 5	108	117
თბილისის სამკერვალო ფაბრიკა № 7	100,1	143
საგალანტერეო ფაბრიკა	104	104
საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო	104	112
მათ შორის:		
თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველო"	120	123
ქუთაისის მაუდის ფაბრიკა	106	117
თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა	97	103
ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი	100	120
ბამბის ფაბრიკა	111	106
ბამბის სართავი ფაბრიკა	101	96
წულუკიძის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა	106	112
თელავის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა	108	126
სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა	102	128
მახარაძის აბრეშუმის ძაფსაგრები ფაბრიკა	110	111
სატყეო მრეწველობის სამინისტრო	100,3	161
მათ შორის:		
ახმეტის ხე-ტყის სახერხი ქარხანა	70	67
ბათუმის ფანერის ქარხანა	114	121
თბილისის ავეჯის ფაბრიკა	107	111
მარელისის ავეჯის ფაბრიკა	112	137
საქართველოს ხე-ტყის დამზადების ტრესტი	99	312
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	106	115
მათ შორის:		
საბორთალოს აგურის ქარხანა	124	104
ნოსირის აგურის ქარხანა	106	133
სამტრედიის აგურის ქარხანა	141	145
საქტეშენტი (ცურსების გრანტის წარმოება)	120	101
ცეცხლგამძლე ნაწარმის ქარხანა „შორშა"	114	167
სურამის კირის ქარხანა	138	98
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	105	109
მათ შორის:		
26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა	119	116
კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა	103	103
ლითონის კონსტრუქციათა ქარხანა	110	118
სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა	103	109
მომთუთებელი ქარხანა	134	115
საინსტრუმენტო ქარხანა	121	131
მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატი	112	127
ცელულოიდის ნაწარმის ფაბრიკა	84	81
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	100,6	106
მათ შორის:		
თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა	99,8	105
სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	107	110
სარეწაო კოოპერაციის მრეწველობა (1926/27 წ. ფასებით)	103	116
მათ შორის:		
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციის სამმართველო	103	118
ინვალიდთა კოოპერაცია	102	110

II

1948 წლის მეორე კვარტალში საქმრეწველო პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეთა გამოშვების გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1948 წლის II კვარტლის გეგმის პროცენტებში	1948 წლის II კვარტლის გეგმა 1947 წლის II კვარტლის პროცენტებში
ქვანახშირი — სულ	98	117
მათ შორის:		
ტყიბულის	97	112
ტყვარჩელის	105	124
ახალციხის	46	118
მარგანეცის მადანი	100,9	117
ნავთობი	88	106
დიზელური გუმბრინი	115	109
დიზელური ბარიტი	105	160
ელექტროენერგია (საქენერგო)	108	111
მათ შორის:		
რიონჰესი	103	102

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის პრეზიდიუმში

საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის პრეზიდიუმმა 8 ივლისს მოისმინა მოხსენება ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის კომისიის წევრის ტ. ლ. მოროზოვასი, რომელმაც მოიარა საბჭოთა კავშირის ქალაქები და გაეცნო ქალთა და ბავშვთა მეგობრობის კომისიის მუშაობას.

კომისიამ, რომელიც შესდგებოდა სსრ კავშირის, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებისაგან, მოიარა ლენინგრადი, ბრესტი, მალაია, გაეცნო ქალთა და ბავშვთა მეგობრობის ქალთა დემოკრატიულ ორგანიზაციებთან. (საკვლისი).

ცნობა

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის რწმუნებულისა საქართველოს სს რესპუბლიკაში

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1948 წლის მეორე კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ

(დასასრული)

	1948 წლის II კვარტლის გეგმის შესრულების პროცენტებით	1948 წლის II კვარტალის გეგმა 1947 წლის II კვარტალის პროცენტებით
ზაჰესი	108	106
ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელსადგური	117	137
აწჰესი	113	149
ლითონსაჭერელი დაზგები—სულ მათ შორის:	147	130
ცენტრის სახელობის ქარხანა	180	113
ქარხანა „დაზგა“	100	116
სამსხმელო მექანიკური ქარხანა	144	—
საფეიქრო დაზგები	186	—
ცემენტი	110	122
შიდური	105	100
აგური (სამენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო)	105	128
კრაძატი „	58	154
კარი „	108	115
ასანთი „	113	130
დაწებებული ფანერი	102	121
დახერხილი მასალა	69	153
სამასალე მრეწნის გამოტანა:		
სატყეო მრეწველობის სამინისტრო	94	545
სარეწაო კოოპერაცია	56	156
ქალაქთა:		
ენეგეთის ქალალდის კომბინატი	100,1	115
თბილისის ქალალდის ფაბრიკა	113	118
მალის ქსოვილი:		
საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო	103	105
სარეწაო კოოპერაცია	99	119
აბრეშუმის ქსოვილი:		
საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო	97	99
სარეწაო კოოპერაცია	111	111
ქრეკა	105	118
წინის ნაწარმი:		
ფაბრიკა „ალტრიკოტაჟი“	80	100,5
სარეწაო კოოპერაცია	94	93
ინვალიდთა კოოპერაცია	68	77
თეთრეული ტრიკოტაჟი:		
ფაბრიკა „ალტრიკოტაჟი“	104	137
სარეწაო კოოპერაცია	153	147
ინვალიდთა კოოპერაცია	98	82
ფეხსაცმელი:		
საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	89	96
მცირის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა	79	118
სარეწაო კოოპერაცია	71	91
ინვალიდთა კოოპერაცია	71	73
ქრომის ტყავი (საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო)	89	89
საწოლები (ადგილმრივი მრეწველობის სამინისტრო)	104	148
პიანინოები „ „	122	152
ეროპი-ეარაჟი	72	98
მეცნიერული ზეთი	99	125
ხორცი	88	71
კონსერვი	30	24
მაკარონის ნაწარმი	105	105
ჩაი მზა აწონილი	113	99
ყურძნის ღვინო (სამტრესტი)	95	113
საპონი:		
კვების მრეწველობის სამინისტრო	94	121
ხორცისა და ცხის მრეწველობის სამინისტრო	13	36
სარეწაო კოოპერაცია	120	137
პაპიროსი	99	101

III

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ცენტრალიზებულ კაპიტალდაბანდებათა 1948 წლის მეორე კვარტლის გეგმა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიხედვით შესრულებულია 94 პროცენტით, მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებების ობიექტები — 94 პროცენტით, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებების ობიექტებში — 94 პროცენტით.

რესპუბლიკაში შესრულებულ კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობამ 1948 წლის მეორე კვარტალში 1947 წლის მეორე კვარტალის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობის გადაანგარიშება 16 პროცენტით, მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებების ობიექტებში—17 პროცენტით, ხოლო საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებების ობიექტებში — 7 პროცენტით.

ცალკეული სამინისტროების, უწყებებისა და დიდი მშენებლობების მიხედვით კაპიტალურ დაბანდებათა 1948 წლის მეორე კვარტალის გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით (პროცენტებით):

საკავშირო დაქვემდებარების ობიექტები

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა	68
მათ შორის ამიერკავკასიის მეტალურგმშენის მიერ შესრულებული სამუშაოები	71
ქუთაისის საავტომობილო ქარხანა	93
მათ შორის № 11 სამშენებლო სამმართველოს მიერ შესრულებული სამუშაოები	72
ჭიათურის მარგანეცის ტრესტი	88
ქვასმშენი	63
ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხანა	149
საქართველოს ქვასახშირის კომბინატი	117
საქნაღის ტრესტი	103
საქენერგო	83
ხრამჰესი	102
ხოხუჰესი	144
ლიტონიშის ქარხანა	178
ქასპის ცემენტის ქარხანა	47
ქ/შანფორმშენის კომბინატი	42
შამპანური ღვინოების კომბინატი	47
ლოღიდშენი	152
სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა	201
რკინიგზების მშენებლობა	124
ლოკომოტივსარემონტო ქარხანა	137

საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროები და უწყებები

კვების მრეწველობის სამინისტრო	69
სამგმოენო მრეწველობის სამინისტრო	96
ხორცისა და ცხის მრეწველობის სამინისტრო	75
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	103
საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო	75
სატყეო მრეწველობის სამინისტრო	124
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	72
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	92
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	107
კინემატოგრაფიის სამინისტრო	164
განათლების სამინისტრო	50
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	92
წყალთა მეურნეობის სამინისტრო	90
ხელოვნების საქმეთა სამმართველო	102
კულტურულ-საყანაშნაღლებო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი	59
ბინებისა და სასტუმროების მშენებლობა	79
კომუნალური მშენებლობა	117
ადმინისტრაციული მშენებლობა	152
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საუზო სამმართველო	192

IV

საგანგებული მარცვლეული და ტექნიკური კულტურების თესვის სახელმწიფო გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით, მათ შორის მარცვლეული და პარკოსანი კულტურებისა — 100,7 პროცენტით, თამბაქოსი 100 პროცენტით, შაქრის ჭარხლისა 100 პროცენტით. მრავალწლიანი ბალახებისა 126,6 პროცენტით. ჩაის სავაზოფსო ბაღების გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით და ცალუსებისა — ლიმონი 105 პროცენტით, ფორთოხალი — 108 პროცენტით. სატრაქტორო სამუშაოთა ნახევარი წლის გეგმა ხვნაზე დაყვანით მტა-ების მიერ შესრულებულია 115,8 პროცენტით.

V

ამიერკავკასიის რკინიგზაზე დატვირთვის საშუალო საღღეღამისო გეგმა 1948 წლის მეორე კვარტალში შესრულებულია 110,8 პროცენტით. გადმოტვირთვის საშუალო საღღეღამისო გეგმა შესრულებულია 105,1 პროცენტით. ქვანახშირის დატვირთვის გეგმა შესრულებულია 104,1 პროცენტით, მარგანეცის მადნისა — 111,1 პროცენტით, ხაფის ზჰოდუქტებისა — 163,4 პროცენტით.

VI

საცალო საქონელბრუნვის 1948 წლის მეორე კვარტლის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 97,1 პროცენტით.

ცალკე სისტემების მიხედვით საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია: ვაჭრობის სამინისტროში — 95.3 პროცენტით, სამომხმარებლო კოოპერაციაში — 105,8 პროცენტით, სარეწაო კოოპერაციაში — 88,2 პროცენტით, ინვალიდთა კოოპერაციაში — 86,7 პროცენტით.

საზოგადოებრივი კვების ბრნეყინე გეგმა ცალკეული სისტემების მიხედვით შესრულებულია: ვაჭრობის სამინისტროში — 100,6 პროცენტით, სამომხმარებლო კოოპერაციაში — 102,1 პროცენტით, სარეწაო კოოპერაციაში — 125 პროცენტით, ინვალიდთა კოოპერაციაში — 89 პროცენტით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში

აგიტატორისა და პროპაგანდისტის დასახმარებლად

ამერიკის პარტიები და პრეზიდენტის არჩევნები

ამერიკის შეერთებულ შტატებში გაჩაღებულია წინასაარჩევნო კამპანია პრეზიდენტის (მიცემით—ოცდამეთხუთმეტე) არჩევნებთან დაკავშირებით. 25 ივნისს დაიხურა ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიის ყრილობა. რესპუბლიკური პარტიისაგან პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებულია ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი დიუი, ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად — კალიფორნიის შტატის გუბერნატორი ურორნი.

ყრილობა შედარებით მალე დამთავრდა. სულ ჩატარდა ექნვსსაათიანი სამი ტური. ეს მაშინ, როცა დემოკრატიული პარტიის ყრილობა 1924 წელს 15 დღეს მიმდინარეობდა, ამასთან პრეზიდენტობის კანდიდატისათვის ექნვსჟამიანი პლანტატორი და მათთან დაკავშირებული საფინანსო და სავაჭრო ბურჟუაზიის ნაწილი. ამ პარტიის ძირითადი მოთხრება იყო ფედერალური ხელისუფლების შესუსტება და ცალკული შტატების უფლებათა გაფართოება, განსაკუთრებით ბაზრის საკითხებში.

ჩრდილოეთისა და დასავლეთის ჩურეულობისა და ფერმერთა მოწინავე ნაწილმა 1864 წელს შექმნა რესპუბლიკური პარტია, რომელიც გამოდიოდა სამხრეთის მონათმფლობელთა წინააღმდეგ, მონობის მოსპობას, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას, ერთიანი ბაზრის შექმნას, დასავლეთი ოლქების ფერმერებით უფასოდ დასახლების სასარგებლოდ.

1860 წელს სამხრეთის შტატებმა გადასწყვიტეს გამოჰყოფოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებს და შეექმნათ ცალკე სახელმწიფო, რამაც 1861 წელს სამოქალაქო ომი გამოიწვია. ეს იყო „ბრძოლა ორი სოციალური სისტემისა — მონობის სისტემისა და თავისუფალი შრომის სისტემისა“ (ვ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. ტ. XII, ნაწ. II. გვ. 251). სამოქალაქო ომი დამთავრდა 1865 წელს ჩრდილოეთის გამარჯვებით, რის შედეგადაც კვებრი აღდგენილ იქნა, მონობა გაუქმდა და დამყარდა ჩრდილოეთისა და დასავლეთის ბურჟუაზიის ბატონობა.

„ხანგების განთავისუფლების შემდეგ, — წერდა ლენინი, — განსხვავება ორივე პარტიას შორის სულ უფრო მცირე ხდებოდა. ამ პარტიების ბრძოლა უმთავრესად სწარმოებდა საბაყო გადასახადის მეტი თუ ნაკლები რაოდენობის საკითხის გამო. არავითარი **სერიოზული** მნიშვნელობა ხალხის ბიბისათვის, ამ ბრძოლას **არ ჰქონია.** ხალხს ატყუებდნენ, მის ყურადღებას აცილებდნენ საარსებო ინტერესებს ორი ბურჟუაზიული პარტიის უფეტესი და უბიზარესი **დიდებულნი** მეშვეობით“. (თხზ. ტ. XIV, გვ. 190).

რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები ამერიკის მთხოპოლისტური კაპიტალის სხვადასხვა ჯგუფების პარტიები გახდნენ და დაფინანსების მათგან იღებდნენ. ძალაუფლება რიგრიგობით გადაადიოდა ამ პარტიების ხელში. 1885 წლამდე ხელისუფლების სათავეში იდგნენ რესპუბლიკელები, შემდეგ ერთ ოთხწლიან პრეზიდენტად იყო დემოკრატი კლივლენდი, იგი შესცვალა რესპუბლიკელმა ჰარისონმა, რომლის შემდეგ პრეზიდენტის პოსტზე დაბრუნდა კლივლენდი, ხოლო შემდეგ 1912 წლამდე პრეზიდენტებად კვლავ რესპუბლიკელები იყვნენ. 1913-დან 1920 წლამდე პრეზიდენტის პოსტი ეკავა დემოკრატ ვილსონს, შემდეგ ხელისუფლების სათავეში კვლავ რესპუბლიკელები მოვიდნენ, სახამ 1932 წელს პრეზიდენტის პოსტზე არჩეულ არ იქნა დემოკრატი ფრანკლინ რუზველტი.

ამხანაგი სტალინი სტასეთან საუბარში ამბობდა, რომ „ჭეეს დიდ განსხვავებას ვერ ვხედავთ რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის“.

ორივე პატრის ცალკე ჯგუფების დაახლოებამ ფართო მასშტაბი მიიღო ფრანკლინ რუზველტის პრეზიდენტობისას. რუზველტი გამოხატავდა ამერიკის შეერთებული შტატების მოწინავე წრეების შეხედულებებს, რომლებიც თვალისწინებდნენ, რომ მთახოპოლისტური ეკონომიური კრიზისისა და ფაშისტური ვერმანიის მზობე საფრთხის პირობებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული წყობილების ინტერესისათვის საჭიროა კლასობრივი ბრძოლის შენელება, უმუშევრობის შემცირება, ამერიკის 60 ოჯახის ხარბი მადის აღაგება, ხოლო საკარო პოლიტიკის დარეგა — საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური, უფრო გვიან კი — სამოკავშირეო ურთიერთობის დამყარება.

თავიანთი ვიწრო პარტიული მიზნების განსახორციელებლად ორივე პარტია არაფერს არ ერიდებოდა. 1944 წელს ორივე პარტიის რეკვიცული ლიმენტები გაერთიანდნენ და ჩაშალეს კონგრესში რუზველტის კანონპროექტი მოქმედი არმიისა და ფლოტის პირადი შემადგენლობისათვის, რომელსაც საშუალება არა აქვს ჰმა მისცეს თავები შტატის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე. საარჩევნო უფლება გამოყენების შესაძლებლობის მიზნების შესახებ. სამხრეთის შტატებში საარჩევნო უფლება წართმეული აქვთ შავკანიან მოსახლეობის ნაწილს.

პრეზიდენტობის კანდიდატები ყველაზე ცოტ დაბირებით უმასპინძლებიან ამომრჩევლებს, რათა უზრუნველყონ მათი ხმების მიღება. 1940 წლის საარჩევნო კამპანიაში პრეზიდენტობის კანდიდატი უილკი ყოველგვარ ზომებს მიმართავდა, რომ საზოგადოებრივ აზრში შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს ის ომის წინააღმდეგია. ამ მიზნით ის ამტკიცებდა, რომ ამერიკის მონოპოლისტები ომით მხოლოდ მოგებას ნახავენ, ომი ამერიკის ეკონომიკის ნგრევას გამოიწვევს, ამერიკის ბიჭები ომში არ უნდა გაგზავნონ, ომის ტვირთი ამერიკის ხალხის მხრებზე არ უნდა დააწვეს. ამ ლოზუნგებით უილკიმ მოიპოვა ხალხის ნდობა და მოიგო არჩევნები.

1948 წლის წინასაარჩევნო კამპანიას შეტად მწვავე ხასიათი აქვს. რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების კანდიდატები ერთმანეთის ლანძღვასაც კი არ ერიდებიან. ამას წინათ ტრუმენმა დაამთავრა თავისი წინასაარჩევნო მოგზაურობა დასავლეთ შტატებში, სადაც მან წარმოსთქვა ორმოცდაოთხე მეტი სიტყვა, რომლებშიც მოეწონდებად ამომრჩევლებს ხმა მიეცათ მისთვის, ამასთან ამომრჩევლებს დემაგოგიურ დაბირებებს აძლევდა და ამერიკელი ხალხის ყველა უბედურობას მიაწერდა რესპუბლიკური პარტიას, რომელიც ვითომდა ხელს უშლიდა ტრუმენის მისი „პროგრესული“ პოლიტიკის განხორციელებაში.

რესპუბლიკელები ლანძღვა-გინებაში არ ჩამორჩნენ. რესპუბლიკური პარტიის წევრმა კლევლენდმა ტრუმენს „სძაგელი პატარა ბიჭი“ და „ყეყეჩი“ უწოდა. სხვა რესპუბლიკელებმა ტრუმენს ბრალი დასდეს, რომ მან საზოგადოებრივი სახსრები ბოროტად გამოიყენა, რომ იგი წინასაარჩევნო მგზავრობისათვის და პირადი მიზნით გამოიყენა. მაგრამ სინამდვილეში რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების პოლიტიკური პროგრამა არაფრით არ განსხვავდება ერთმეორისაგან: ერთიც და მეორეც გამოყვა ამერიკის მონოპოლიათა ავრესილი პოლიტიკის გამტარებლად, მხარს უჭერს „მარშალის გეგმას“ და „ტრუმენის დოქტრინას“, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული დასავლეთის ბლოკის შექმნას, დასავლეთ გერმანიის სუპარატული სახელმწიფოს შექმნას, გამოღის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში „ვეტოს“ გაუქმების საკარგებლოდ და ა. შ., ხოლო საშინაო პოლიტიკის დარგში ემხრობა ტაფტ-ჰარტლის ანტიმუშურ კანონს, მუშების კანონს და სხვა. საკმარისია აღინიშნოს, რომ დემოკრატ ტრუმენის უახლესი მრჩეველთა რესპუბლიკელ დალესი.

მესამე პარტიის გამოჩენამ დიდი შეშფოთება შეიტანა ზეპოალისშწყო რ პარტიაში. ისინი ყოველგარ ზომას ხმარობენ, რომ ჩაშალონ ახალი პარტიის წარმატება. მაგალითად, ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი მესამე პარტიისაგან სენატორი ტეილორი დაატმძრეს და სცემეს იმისათვის, რომ წინასაარჩევნო კრებაზე ზანგებისათვის განკუთვნილი კარიდან შეეიდა. ეოლუს სასტუმროების პატრონები ეურს უუბნებიან ოთახების მიცემაზე, დიდი საზოგადოებრივი შენობების მფლობელები — შენობების მიცემაზე გამოსვლებისათვის, ხოლო ჩრსტის პრესა ათვალწუნებსლიად ლანძღავს და ცილს სწამებს მას.

მესამე პარტია პროგრესულ პოზიციებზე დგას. საკარო პოლიტიკის დარგში გამოდის მშვიდობის, საყოველთაო უშიშროებისა და სამშოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის მომხრედ, ხოლო სამხრეთ პოლიტიკის დარგში — დემოკრატიული თავისუფლების აღდგენის, ამერიკის მონონოლიათა შემოსვლის შეზღუდვის, ანტიმეშურ კანონმდებლობის გაუქმების მომხრედ.

* * *

12 ივლისს შესდგება დემოკრატიული პარტიის ყრილობა. პრეზიდენტობის ყველაზე შესაძლო კანდიდატი დემოკრატიული პარტიისაგან ტრუმენია. ასახელებენ კიდევ ეიზენჰაუერს, როგორც ბაზის უკეთეს საწარმოო პროფკავშირთა ლიდერები და მემარჯვენე სოციალისტები, რომელთაც იმედი აქვთ ამ რეაქციელი, მაგრამ მასობათან პოლიტიკურად უცნობი ფიგურის დაბმარებით, რომელიც „სამხედრო დიდების ბრაზდებული ორის მილიონ“, ჩამოაშორონ პროფკავშირთა მილიონობით რიგითი წევრი ეოლუსის კანდიდატურას.

24 ივლისს შესდგება მესამე პარტიის ყრილობა. ეოლუსს მხარს უჭერენ ეთელ ამერიკის პროგრესული ელემენტები, მათ შორის დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიებიდანაც, ხოლო, რაც მთავარია, მილიონობით მუშები, ზანგები, ახალგაზრდობა და მესამე პარტიის ბაქი მოწყობილი მრავალათასიანი მიტინგების სხვა მონაწილენი. ეოლუსის კანდიდატურას მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატების კომპოლისტური პარტია.

რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების სამსახურში ჩაყენებული პრესა, რადიო, აუარაკეული ფულადი და პოლიტიკური ზეგავლენის სხვა სახსრები, ყოველივე ეს, რასაკვირველია, უდიდეს სიძნელეებს შეუქმნის მესამე პარტიას. მაგრამ თუ რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების პრეზიდენტობის კანდიდატებს აყენებენ ერა ამომრჩევლები, არამდე პოლიტიკური „ბოსების“, რომლებიც ყრილობებს ეწყრებიან, და ამომრჩეველს ხმა უნდა მისცეს კანდიდატს, რომლის წამოყენებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, ეოლუსის კანდიდატურის წამოყენებაში მონაწილეობას იღებენ ამომრჩეველთა ფართო მასები.

როგორიც უნდა იყოს 2 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგი, მესამე პარტიისათვის, როგორც პროგრესული ძალისათვის, უზრუნველყოფილია მომავალი და საბოლოო წარმატება.

დ. ზავრიევი

პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის მესამე გამოშვება

საქართველოს კ. პ. (ბ). თბილისის კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი, რომელიც 1945 წელს ჩამოყალიბდა, წარმოებისაგან მოუწყვეტლად უმაღლეს პარტიულ განათლებას აძლევს ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ მუშაკებს.

უნივერსიტეტში სწავლობენ როგორც პარტიის წევრები, ისე უპარტიო ახალგაზრდა სპეციალისტები საშუალო განათლებით. უნივერსიტეტში ამჟამად სწავლობენ სსრკ პარტიული სკოლის სამნლიანი კურსის პროგრამით თავისუფლებით დაილექტიური და ისტორიული მატერიალიზმის საგნის მასწავლებლები.

საღამოს უნივერსიტეტში სწავლის ხანგრძლივობა ორი წელია. მეცადინეობა სწარმოებს ქართულ ენაზე.

მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტს თბილისში სპეციალის მიხედვით აქვს სამი ფაკულტეტი — მასწავლებლების, მეცნიერების და ხელოვნების მუშაკებისათვის. ფილიალებში მეცადინეობა სწარმოებს რუსულ და ქართულ ენებზე.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური ლექტორებით. ამ მუშაობის ხელმძღვანელობს ნ. ბერძენიშვილი, პროფესორები ჩ. ჩხეიძე, გ. ბაქრაძე, ს. ბერიაძე, ვ. დოლიდე და სხვ. ამჟამად ლექციებს კითხულობს ოცდათამდე მეცნიერებათა კანდიდატი და კვლევიცერი ლექტორი.

ყოველწლიურად ეზრდება უნივერსიტეტში შემსვლელთა რიცხვებიც. ჩამოყალიბების პირველ წელს უნივერსიტეტის მსმენელთა კონტინგენტი 250 კაცს უდრიდა, ამჟამად მას 1.200 მსმენელი ჰყავს. კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება მოხდა 1947 წელს. ჩვენს უნივერსიტეტში დაამთავრა 92 კაცმა. მეორე გამოშვების დროს, რაც მიმდინარე წელს ბჭირვებს მოხდა, უნივერსიტეტი დაამთავრა 33 მსმენელმა.

